დასაქმებული მშობლების გამოწვევები შვილების აღზრდის პროცესში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

ავტორი: ია თედორაძე

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

20.06.2024

აბსტრაქტი

დღესდღეობით, მშობლები და, განკსაკუთრებით დედები აფართოებენ საკუთარ როლს სხვადასხვა კარიერაული მიმართულებით და პარალელურად ინარჩუნებენ ტრადიციულ ვალდებულებებს სახლში. შედეგად, ოჯახური და სამუშაო პასუხისმგებლობების დაბალანსება რჩება თანამედროვე დასაქმებული მშობლების ცხოვრების მნიშვნელოვან სირთულედ. მშობელი-შვილის ურთიერთობა, მშობელთა გამოწვევები, აღზრდის სტილები და აღზრდის სტილზე მოქმედი ფაქტორები მრავალი კვლევის საგანს წარმოადგენს. აღზრდის ფენომენი თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში, რის შედეგადაც სხვადასხვა თეორიული ჩარჩოები ცდილობენ გაიგონ და ახსნან მისი როლი ბავშვის განვითარებაში. აღზრდა ეს არის დინამიური პროცესი, რომელზეც გავლენას ახდენს და სისტემატურად მოქმედებს სხვადასხვა სოციოკულტურული ფაქტორები.

მოცემული კვლევა იძიებს დროის დეფიციტის, სამუშაო კმაყოფილებისა და მშობლის სტრესის კავშირს აღზრდის სტილებთან. კონკრეტულად, აღზრდის 3 ძირითად სტილთან: ავტორიტეტული, ლიბერალური და ავტორირატული.კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდით. მასში მონაწილეობა მიიღო 20-დან 66 წლამდე ასაკის 80-მა მშობელმა (77.5% ქალი (N=62), ხოლო 22.5% მამაკაცი (N=18)).

შედეგებმა აჩვენა, რომ მშობლის სტრესი და დროის დეფიციტი კავშირშია აღზრდის ავტორიტეტულ სტილთან

ასევე, გამოვლინდა რამდენიმე ცვლადის ერთმანეთთან კავშრის არსებობა, რაც საკმაოდ საინტერესოა და იმსახურებს ყურადღების გამახვილებას (დროის დეფიციტის დადებითი კავშირი მშობლის სტრესთან, სამუშაო კმაყოფილების დადებითი კავშირი ასევე, მშობლის სტრესთან, მშობლის სტრესის დადებითი კავშირი ავტორიტარულ სტილთან).

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობლის სტრესი, დროის დეფიციტი, სამუშაოთი კმაყოფილება, აღზრდის სტილი, ავტორიტეტული, ლიბერალური, ავტორიტარული.

Abstract

Nowadays, mothers are expanding their lives in different careers while maintaining their traditional obligations at home. As a result, balancing family and work responsibilities remains a crucial difficulty of life for contemporary working mothers. The phenomenon of parenting has occupied the attention of researchers across various scientific disciplines for almost a century, resulting in different theoretical frameworks attempting to understand and explain its role in child development. It is a dynamic process impacted and systematically influenced by various sociocultural factors.

This study explores how the time deficit, work satisfaction and parental stress links to the three main parental styles: authoritative, liberal and authoritarian.

Eighty parents participated in the study using a quantitative method. Participants were between 20 to 66 years old (77.5% women (N=62), 22.5% men (N=18)).

The results showed that parental stress and time deficit are related to authoritative parenting style.

The correlation analysis also showed the presence of several variables with each other that is quite interesting and deserves further attention (e.g. positive relationship between lack of time and parental stress, positive relationship between job satisfaction and parental stress, positive relationship between parental stress and authoritarian style). .

Key Words: Parental Stress, Time Deficit, Working Satisfaction, Parental Style, Authoritative, Liberal, Authoritarian.

მადლობა

მინდა, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ... რომელიც მუდმივად ჩართული იყო კვლევის განხორციელებისა და ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა საჭირო რჩევებს და მეხმარებოდა ყველა სირთულის გადალახვაში. მისი პროფესიული და ადამიანური დახმარების გარეშე, ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე ვერ შევძლებდი კვლევის ჩატარებას სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.